



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე დავით გიორგის ძე

კაპანაძე დავით გიორგის ძე (15. IV. 1898, თბილისი, – 7. III. 1971, იქვე), ნუმისმატი. დოქტორი (1958), პროფესორი (1965), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), დაამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია. ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. სახელმწ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყ-ბის გამგე (1959–71). კ. 1937-იდან მონაწილეობდა საქართველოს არქეოლ. ექსპედიციებში (მცხეთა, გუდარეხი, კლდეეთი, ბიჭვინთა და სხვ.), გამოავლინა მრავალი უცნობი ქართ. მონეტა, დაადგინა ზოგიერთის ქართ. წარმომავლობა, მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა ქართ. მონეტების დათარიღებაში და სხვ. ქართ. ცენტრ. და საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოაქვეყნა მრავალი სამეცნ. ნაშრომი ქართ., რუს., გერმ., პოლონურ და ჩეხურ ენებზე. კ-მ თავისი პუბლიკაციებით მსოფლიოს გააცნო ქართ. ფულის ისტორია და გააცხოველა ინტერესი ამ პრობლემისადმი. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია "ქართული ნუმისმატიკა" (მრავალჯერ გამოიცა ქართ. და რუს. ენებზე). კ-მ დიდი სამუშეუმო მუშაობა გასწია (მონეტების შეგროვება, განსაზღვრა, კოლექციის სისტე-მატიზაცია და დაცვა).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: წარსულის მაცნეები, თბ., 1965; ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1969; Грузинская нумизматика, Тб., 1950; Новый тип монеты Давида Строителя, «Византийский временник», 1956, т. 8; О продолжительности обращения динариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, «Советская археология», 1962, №4.

ვ. ლექვიანიძე
